არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი”

სენაკი, ა. წერეთლის ქ .#1

ტელ 579 92 74 74.
xelovnebiscentri@gmail.com

N77

16 ოქტომბერი 2026 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს
ბ- ნ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2026 წლის 9 ოქტომბრის N40-402628267 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ, ა(ა)იპ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი”ს 2026 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობების ანგარიშს.

დანართი 20 ფურცელი

პატივისცემით,

ვეფხვია ვეფხვაძე
ა(ა)იპ,,სენაკის მუნიციპალიტეტის
ხელოვნების ცენტრი”ს დირექტორი

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი

2026 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2026 წლის 1 იანვარი – 30 ივნისი

სენაკი 2026

შინაარსი

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია
1.1 ცენტრის შესახებ · 1.2 მიზანი და პრიორიტეტები · 1.3 სტრუქტურა და ადამიანური რესურსი · 1.4 მოსწავლეთა კონტინგენტი

თავი 2. 6 თვის ძირითადი შედეგები მოკლედ
2.1 ძირითადი მაჩვენებლები · 2.2 სიახლეები და მიღწევები

თავი 3. ცენტრის მართვა
დაგეგმვა და კოორდინაცია · საქმისწარმოება · კადრების განვითარება · მატერიალურ-ტექნიკური ბაზა · ინსტიტუციური სიახლეები · საინფორმაციო საქმიანობა

თავი 4. ფინანსური მართვა
გეგმა · 6 თვის შესრულება · ნაშთი და ხარჯები · საქონლისა და მომსახურების ხარჯები

თავი 5. სამუსიკო სკოლა

თავი 6. სამხატვრო სკოლა

თავი 7. შემოქმედებითი გარემოს წახალისება და სტიმულირება
საკვირაო სკოლა · „არტ-ნაბიჯი“ · ანსამბლი „გოგალაი“ · ბავშვთა კამერული ორკესტრი

თავი 8. მიღწევები
მოსწავლეთა მიღწევები · წარმატებული პედაგოგები

თავი 9. შემეცნებითი, თემატური და საზოგადოებრივი აქტივობები
საიუბილეო ღონისძიებები · შემეცნებითი ტურები · მასტერკლასები

თავი 10. SWOT ანალიზი
ძლიერი მხარეები · სუსტი მხარეები · შესაძლებლობები · საფრთხეები

თავი 11. სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები
ხარისხი და ხელმისაწვდომობა · ნიჭიერი ახალგაზრდები · ინოვაციური პროექტები · ინფრასტრუქტურა და კადრები · საზოგადოებრივი ჩართულობა

თავი 12. დასკვნა

დანართი №1. ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები
დანართი №2. ხელოვნების ცენტრის მოსწავლეთა სოლო და პედაგოგთა საკლასო კონცერტები
დანართი №3. ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები
დანართი №4. ხელოვნების ცენტრის კონკურსები, ფესტივალები და საკონცერტო აქტივობები
დანართი №5. ხელოვნების საკვირაო სკოლა, ანსამბლი „გოგალაი“ და სხვა შემოქმედებითი პროექტები
დანართი №6. ხელოვნების ცენტრის სტრუქტურა

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. ცენტრის შესახებ

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი საქმიანობა მიმართულია სახელოვნებო განათლების, შემოქმედებითი განვითარების, კულტურული ღონისძიებების განხორციელებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობისკენ.
ცენტრი კოორდინაციას უწევს სახელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობას. მის სისტემაში ფუნქციონირებს ადმინისტრაცია, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, შემოქმედებითი ჯგუფი/ანსამბლი „გოგალაი“, ხორციელდება პროექტები „ხელოვნების საკვირაო სკოლა“ და „ხელოვნების საზაფხულო სკოლა“. ცენტრი ორ სხვადასხვა შენობაში არის განთავსებული: სამუსიკო სკოლა -ქ. სენაკი, წერეთლის ქ.№1; სამხატვრო სკოლა-ქ.სენაკი, რუსთაველის ქ.№152. ცენტრში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო.

1.2. საანგარიშო პერიოდის მიზანი და პრიორიტეტები

საანგარიშო პერიოდში ცენტრის საქმიანობა წარიმართა ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებით გასაზღვრული-,,ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების პროგრამის (პროგრამული კოდი 05 02 02) მოთხოვნათა შესაბამისად. ამ დოკუმენტის მიზანია სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა და ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერა. პროგრამა აერთიანებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლებს, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტს, სიმღერას და სახვით ხელოვნებას. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი წლიური ბიუჯეტი, სუბსიდიები, მომსახურების ღირებულებები და შეღავათები სოციალურად დაუცველი ან მრავალშვილიანი ოჯახების მოსწავლეებისთვის. პროექტის მოსალოდნელი ძირითადი შედეგებია:

- სახელოვნებო სტრუქტურების გამართული მუშაობა,
- ახალგაზრდების ჩართულობა ფესტივალებსა და კონკურსებში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

სენაკის მუნიციპალიტეტი ხელოვნების ცენტრს სუბსიდიურად აფინანსებს, ფუნქციონირებისა და მატერიალურ-ტექნიკური ხარჯებისთვის. საანგარიშო პერიოდში ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზნები იყო:

- სახელოვნებო განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება;
- კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- ცენტრის ინსტიტუციური განვითარება.

ცენტრის საქმიანობა 6 თვის განმავლობაში წარიმართა ადმინისტრაციის, სახელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი გეგმებისა და ზემდგომ სამსახურებთან კოორდინაციის შესაბამისად.

1.3. სტრუქტურა და ადამიანური რესურსი

- ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულია 48 ადამიანი: სამუსიკო სკოლა — 27, სამხატვრო სკოლა — 7, ადმინისტრაცია — 14.
- ცენტრის სტრუქტურა და ანგარიშვალდებულების სქემა იხილეთ დანართში №6.


1.4. მოსწავლეთა კონტინგენტი

- 2026 წლის 1 ივლისის მონაცემით ცენტრის ძირითად სასწავლო პროგრამებში ირიცხება **498 მოსწავლე**.

სტრუქტურული ერთეული / პროგრამა	მოსწავლე	წილი ძირითად კონტინგენტში
სამუსიკო სკოლა	256	51,4%
სამხატვრო სკოლა	88	17,7%
შემოქმედებითი პროექტი „ხელოვნების საკვირაო სკოლა“	154	30,9%
ძირითადი კონტინგენტი სულ	498	100%

- ცენტრი ემსახურება მეზობელი მუნიციპალიტეტების (ჩხოროწყუ, აბაშა, ხობი, მარტვილი) მსურველებს — ჩარიცხულია 20 **მოსწავლე**. სენაკის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიდან ჩარიცხულია 118 **მოსწავლე**.

სოციალური მხარდაჭერის ფარგლებში შეღავათებით ისარგებლა 58 მოსწავლემ: 70000 სარეიტინგო ქულა-36, დაძმები ერთი ოჯახიდან:20, სამხედრო ოჯახების შვილები-2.



დიაგრამა 1. მოსწავლეთა რაოდენობა სტრუქტურულ ერთეულებში — 498 (2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით).


თავი 2. 6 თვის ძირითადი შედეგები მოკლედ

2.1. ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2026 წლის 6 თვე
დასაქმებული	48 ადამიანი
მოსწავლეთა ძირითადი კონტინგენტი	498 (სამუსიკო 256, სამხატვრო 88, საკვირაო სკოლა 154)
განხორციელებული აქტივობები	80 (კონცერტები — 11, კონკურს-ფესტივალები — 21, სახვითი ხელოვნება — 13, შიდა და მუნიციპალური — 19, „გოგალაი“ — 10, საკვირაო სკოლა — 4, შემეცნებითი ტურები — 2)
მოსწავლეთა მიღწევები და აღნიშვნები	138, მათ შორის გრან-პრი — 1, სიგელი — 30, დიპლომი — 40
დამუშავებული დოკუმენტები	508 (შემოსული — 344, გასული — 60, ბრძანება — 104)
მიღებული დაფინანსება	386 361 ლარი (სუბსიდია — 337 683, საკუთარი შემოსავალი — 48 678)
გახარჯული თანხა	383 342 ლარი
ნაშთი 2026 წლის 1 ივლისისთვის	5 455 ლარი

2.2. 2026 წლის სიახლეები და მნიშვნელოვანი მიღწევები:

- მოსწავლეთა ბაზაზე ჩამოყალიბდა **ბავშვთა კამერული ორკესტრი**, რომელიც რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში გრან-პრის მფლობელი გახდა;
- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ სამუსიკო სკოლის 8 მოსწავლეს გადასცა ფუალდი პრემიები, რეგიონულ და სერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მიღწეული წარმატებისთვის.
- განხორციელდა ახალი მოკლევადიანი სასწავლო მოდული **„არტ-ნაბიჯი“**;
- „ქართული კალიგრაფიული ხელოვნების“ და გობელენის ხელოვნების სწავლების დანერგვა;
- საკვირაო სკოლაში დაინერგა შეფასების **არტ-პორტფოლიოს მოდელი**;
- განახლდა სასწავლო რესურსები: სამხატვრო სკოლას შეემატა სასწავლო ინვენტარი, სამუსიკო სკოლას მუსიკალური ინსტრუმენტები;
- ადმინისტრაციის თანამშრომლებმა გაიარეს პროფესიული გადამზადების ორი კურსი;
- განახლდა და გაძლიერდა ადმინისტრაციული დებულებები.
- ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს 2 სხდომა.



დიაგრამა 2. განხორციელებული აქტივობები სახეების მიხედვით, 2026 წლის 6 თვე

თავი 3. ცენტრის მართვა

3.1. დაგეგმვა, კოორდინაცია და ანგარიშგება

- ცენტრი ამზადებს ანგარიშებს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსთვის;
- მონიტორინგი უტარდება დასაქმებულთა, მოსწავლეთა და მშობელთა საინფორმაციო ბაზებს;
- ცენტრს გააჩნია ადგილობრივი, რეგიონული და რესპუბლიკური ღონისძიებების კალენდარი;
- რეგულარულად ტარდებოდა შიდა საკოორდინაციო სამუშაო შეხვედრები, აგრეთვე მშობლებისა და მოსწავლეების კონსულტაციები სხვადასხვა საკითხზე;
- ცენტრი თანამშრომლობს სახელოვნებო საგანმანათლებლო სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან.

3.2. საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა

საანგარიშო პერიოდში დამუშავდა 508 დოკუმენტი, მათ შორის: შემოსული — 344, გასული — 60, გამოცემული ბრძანება — 104. ამასთან, სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან მიღებულია 58 ამონაწერი, რომელიც ცალკე აღირიცხა.

შემოსული დოკუმენტები (344)	გასული დოკუმენტები (60)
განცხადება — 239	მომართვა — 17
მოხსენებითი ბარათი — 68	მივლინება — 28
მომართვა — 21	ცნობა — 8
ცნობა — 3	შესყიდვები — 7
ანგარიში — 4; ნებართვა — 4	გამოცემული ბრძანებები — 104 (ცალკე აღრიცხვით)
სწავლება-ტრენინგი — 2; დებულება — 3	

3.3. კადრების პროფესიული განვითარება

საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციის თანამშრომლებმა გაიარეს პროფესიული გადამზადების შემდეგი კურსები:

- ფინანსური მართვის რეფორმის ფარგლებში: IPSAS სტანდარტების დანერგვა, ფინანსური ანგარიშგება და აქტივების ეფექტიანი მართვა;
- სწავლება-ტრენინგი მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისთვის თემაზე „შესყიდვები“.

კდრების მომზადების ხერჯმა შეადგინა 300 ლარი.

3.4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

განახლება ეტაპობრივად მიმდინარეობს. სამხატვრო სკოლას შეემატა სასწავლო ინვენტარი, (1350) სამუსიკო სკოლას — მუსიკალური ინსტრუმენტები; შეძენილია პრინტერი (1000 ლარი), ჩატარდა ფორტეპიანოს აწყობა (350 ლარი), განხორციელდა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძნა (1765 ლარი).

3.5. ინსტიტუციური სიახლეები

საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბდა ბავშვთა კამერული ორკესტრი. ინტენსიურად მიმდინარეობდა ხელოვნების ცენტრის სამუშაო გეგმების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დაკვირვება და ახალი ინიციატივებზე მუშაობა.


3.6. საინფორმაციო საქმიანობა

ცენტრის სახელოვნებო-საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები შუქდება სისტემატურად. 2026 წელს ცენტრის Facebook-გვერდზე გაშუქდა დაახლოებით 80 პოსტი. მუდმივ რეჟიმში ხელმისაწვდომია ცენტრის მაილი: xelovnebiscentri@gmail.com

ხარჯის სახე	თანხა (ლარი)	წილი ხარჯებში
არაფინანსური აქტივების ზრდა (პრინტერი)	1 000	0,3%
სულ	**383 342**	**100%**

4.4. საქონლისა და მომსახურების ხარჯები

ხარჯთა ჯგუფი	მუხლები (ლარი)	ჯგუფის ჯამი (ლარი)
ტრანსპორტი და მივლინება	ტრანსპორტით მომსახურება — 5280; მივლინება — 2556; მუსიკალური ინსტრუმენტის ტრანსპორტირება და დამონტაჟება — 1765	9 601
კომუნალური და კავშირგაბმულობა	ელექტროენერგია — 5071; კავშირგაბმულობა — 1271; წყალი — 648; ბუნებრივი აირი — 551.	7 541
ორგანიზაციული ხარჯები და საწევრო	საწევრო შენატანი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია (სათეფა) — 4000; კადრების მომზადება — 300; საარქივო მომსახურება — 85; 112-ის მომსახურება — 14.	4 399
საკანცელარიო, მარაგები, ბეჭდვა	მატერიალური მარაგები — 321; საკანცელარიო — 1138; ბეჭდვა — 362; კატრიჯების შეძენა/დატუმბვა — 706; კომპიუტერის აქსესუარები — 98	2 625
სასწავლო ინვენტარი და ინსტრუმენტები	სასწავლო ინვენტარი — 1350; მცირეფასიანი ინვენტარი — 601; ფორტეპიანოს აწყობა — 350	2 301
ჰიგიენა და სანიტარია	სანიტარული და ჰიგიენის საშუალებების შეძენა — 1052	1 052
სულ		**27 519**



დიაგრამა 4. საქონლისა და მომსახურების ხარჯები ჯგუფების მიხედვით

თავი 5. სამუსიკო სკოლა

5.1. ზოგადი ინფორმაცია

სამუსიკო სკოლა ფუნქციონირებს ქ.სენაკში, წერეთლის ქუჩა №1-ში. სკოლას აქვს სამსართულიანი შენობა, ორი საკონცერტო დარბაზი (დიდი და მცირე) და შესაბამისი ინსტრუმენტებით აღჭურვილი საკლასო ოთახები. სკოლაში დასაქმებულია 27 პედაგოგი (7 მაგისტრი, 4 ბაკალავრი, 16 პროფესიული განათლების პედაგოგი). 2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ირიცხება 256 **მოსწავლე**. სამუსიკო სკოლას ჰყავს სკოლის ხელმძღვანელი და ხელმძღვანელის მოადგილე.

პარამეტრი	აღწერა
მიღების ასაკი	6 წლიდან
სწავლების ხანგრძლივობა	5, 7 ან 9 წელი
დაფინანსება	დანერგილია მშობელთა მხრიდან თანადაფინანსების სისტემა
სასწავლო რეჟიმი	ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით

5.2. განყოფილებები და მეთოდური ჯგუფები

- სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო, ჩელო, საქსაფონი, ფლეიტა, ალტი) და საესტრადო განყოფილებები, საგუნდო სიმღერის სპეციალობა, გიტარისა და ხალხურ საკრავთა ჯგუფები. მოქმედებს საფორტეპიანო (და სხვა საკრავების), მუსიკალურ-თეორიული და ვოკალური მეთოდური ჯგუფები.

5.3. სასწავლო და მეთოდური საქმიანობა

- სკოლას აქვს სამუშაო გეგმები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება მეთოდური ღონისძიებები;
- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობა: მეთოდური ღონისძიებები, მოსმენები, აკადემიური ჩათვლა-კონცერტები, ვიქტორინა-კონცერტები, ლექციები, დახურული და ღია კონცერტები, ტესტირებები;
- გამოცდები: საგამოცდო პროგრამები, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, დამამთავრებელი კლასების გამოცდები;
- ივნისში ჩატარდა გამოსაშვები V, VII და IX კლასების გამოცდები სპეციალობაში, მუსიკის თეორიასა და სოლფეჯიოში;
- მისაღები გამოცდების პირველი ეტაპი ჩატარდა ივნისში;
- სასწავლო პროცესში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობენ რესპუბლიკურ, რეგიონულ და ადგილობრივ ღონისძიებებში.

სამუსიკო სკოლის ღონისძიებების ქრონოლოგია იხილეთ დანართებში №1 და №2; კონკურსებში მონაწილეობა და მიღწევები — დანართში №4 და მე-8 თავში.

თავი 6. სამხატვრო სკოლა

6.1. ზოგადი ინფორმაცია

სამხატვრო სკოლა ფუნქციონირებს ქ. სენაკში, რუსთაველის ქუჩა №152-ში, პირველ სართულზე; აქვს საგამოფენო სივრცე და სამუშაო ოთახები. სკოლაში დასაქმებულია 7 ადამიანი (4 მაგისტრი, 3 პროფესიული განათლების პედაგოგი), ირიცხება 88 **მოსწავლე**. სამხატვრო სკოლას ჰყავს სკოლის ხელმძღვანელი და ხელმძღვანელის მოადგილე.

პარამეტრი	აღწერა
მიღების ასაკი	9 წლიდან
სწავლების ხანგრძლივობა	4 წელი
დაფინანსება	დანერგილია მშობელთა მხრიდან თანადაფინანსების სისტემა

6.2. სასწავლო საგნები

სკოლაში ისწავლება: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება, ძერწვა, გრაფიკა, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება, მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია და საგანი შერჩევით.

6.3. სასწავლო პროცესი და გამოფენები

- სკოლაში ფუნქციონირებს კონტინგენტის მისაღები, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების/ჩათვლების ჩამტარებელი კომისიები;
- ჩატარდა ტესტირებები, კლასიდან კლასში გადასაყვანი და დამამთავრებელი კლასის გამოცდები ხატვასა და ხელოვნების ისტორიაში;
- ეწყობა შიდა და საკლასო გამოფენები, გაკვეთილ-პლენერები: მოსწავლეთა ნახატების, კალიგრაფიული ხელნაწერებისა და ნაქსოვი ფარდაგების გამოფენები;
- სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ ადგილობრივ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში;
- სკოლა ჩაერთო პროექტში „ნახატები ბიბლიურ თემებზე“: მონაწილეებმა წარმატებით გაიარეს შესარჩევი, პირველი და მეორე ტურები და ემზადებიან დასკვნითი, მესამე ტურისთვის.

სამხატვრო სკოლის ღონისძიებების ქრონოლოგია იხილეთ დანართში №3.

თავი 7. შემოქმედებითი გარემოს წახალისება და სტიმულირება

7.1. ხელოვნების ცენტრის შემოქმედებითი პროექტი „ხელოვნების საკვირაო სკოლა“

საკვირაო სკოლა განვითარდა და გახდა მოქმედი მრავალმიმართულებიანი საგანმანათლებლო სახელოვნებო პროგრამა, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის უზრუნველყოფს არაფორმალური სახელოვნებო განათლების მიწოდებას. სკოლა მოქნილი გრაფიკით მუშაობს და ითვალისწინებს როგორც საბაზისო, ისე ინტენსიურ სასწავლო მოდულებს. დაინერგა შეფასების არტ-პორტფოლიოს მოდელი. პროექტი მოქმედებს სახვითი (სივრცითი) და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მსმენელთა რაოდენობაა 154 (სამუსიკო მიართულება-94, ხატვა აბიტურიენტები-11, სივრცითი ხელოვნება და ხატვა-42, კალიგრაფიული ხელოვნება-7). აღნიშნულ პროექტს ჰყავს პასუხისმგებელი პირი და პედაგოგები. ძირითადი ღონისძიებები:

- 24 იანვარს — „მომავლის არქიტექტორების“ და ხატვის ჯგუფის მოსწავლეების ნამუშევრების შუალედური შეფასება და გამოფენა;
- 11 მაისს — არქიტექტურის ჯგუფის გამოფენა ქრისტიანობის 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი აქტივობების ფარგლებში;
- 26 მაისს — არქიტექტურის ჯგუფის ნამუშევრების გამოფენა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

7.2. ხელოვნების ცენტრის სასწავლო მოდული „არტ-ნაბიჯი: სწავლა ხელოვნებით“

მოდული 10–14 მარტს განხორციელდა ხელოვნებით დაინტერესებული ბავშვებისთვის. პროექტის მიზანია შემოქმედებითი უნარების განვითარება და მრავალდარგობრივი ინტეგრაცია: ერთი პროექტის ფარგლებში ბავშვები იხვეწავენ სხვადასხვა უნარს, კრეატიულობასა და ინტელექტუალურ ნიჭს. მონაწილეობა მიიღო 7-მა მოსწავლემ; დასკვნით ეტაპზე მოეწყო ნამუშევრების გამოფენა, შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ მშობლები, ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი. აღნიშნულ პროექტს ჰყავს პასუხისმგებელი პირი და პედაგოგები.

7.3. ანსამბლი „გოგალაი“

ანსამბლისთვის საანგარიშო პერიოდი განსაკუთრებით აქტიური და მედიურად დატვირთული იყო: ანსამბლი ჩაერთო როგორც სატელევიზიო სივრცეში, ისე შიდა და მუნიციპალურ ღონისძიებებში და სულ **10 ღონისძიებაში** მიიღო მონაწილეობა (იხ. დანართი №5). ანსამბლს ჰყავს პასუხისმგებელი პირი და სპეციალისტ-მომღერლები.

7.4. ხელოვნების ცენტრის ბავშვთა კამერული ორკესტრი

ხელოვნების ცენტრის მოსწავლეთა ბაზაზე ჩამოყალიბდა ბავშვთა კამერული ორკესტრი. ორკესტრს ჰყავს ხელმძღანელი/დირიჟორი, კონცერტმეისტერი და პედაგოგები. ბავშთა ორკესტრში ირიცხება 23 მოსწავლე. რომელიც რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში გრან-პრის მფლობელი გახდა.

- 13 თებერვალს ორკესტრის წევრებმა შემეცნებითი ტურის ფარგლებში ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნახეს სპექტაკლი „ქეთო და კოტე“.
- 26 მარტი - კლასიკური მუსიკის მე-19 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები-2026" - ნომინაცია „წარმატებული დებიუტი" და ლაურეატის წოდება;
- 4 აპრილი -კლასიკური მუსიკის XVIII რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი" - გრანპრი;
- 16 მაისი - სენაკის XIII არტ ფესტივალი - საპატიო დიპლომი;

თავი 8. მიღწევები

8.1. მოსწავლეთა მიღწევები კონკურს-ფესტივალებში

მიღწევა	რაოდენობა
გრან-პრი	1
I პრემია და ლაურეატის წოდება	9
II პრემია და ლაურეატის წოდება	5
III პრემია და ლაურეატის წოდება	4
I ადგილი და ლაურეატის წოდება	8
II ადგილი და ლაურეატის წოდება	4
III ადგილი და ლაურეატის წოდება	1
ლაურეატი	32
სიგელი	30
დიპლომი	40
ფულადი ჯილდო	1
ნომინაცია „წარმატებული დებიუტი“	1
დოდო ცინცაძის სახელობის სტიპენდია	1
მუსიკის აკადემიის სტიპენდია	1

8.2. წარმატებული პედაგოგები

სამუსიკო სკოლის 7 პედაგოგი სხვადასხვა კონკურს-ფესტივალის ფარგლებში დაჯილდოვდა საპატიო დიპლომებითა და სიგელებით ნაყოფიერი პედაგოგიური, ხანგრძლივი, წარმატებული მოღვაწეობისა და თაობების პროფესიული განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

კონკურსი / ფესტივალი	პედაგოგები	აღნიშვნა
კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“	შორენა ზვიადაძე, ნათია შურღულაია, გოჩა ჯგერენაია, თენგიზ გვენეტაძე, რუსუდან გვენეტაძე	საპატიო დიპლომი
ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XVIII რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი „იპოვე შენი ვარსკვლავი“	რუსუდან მილიუტინი	საპატიო დიპლომი
კარლ ჩერნის სახელობის IV კონკურსი	რუსუდან მილიუტინი, ინგა გადელია	მადლობის სიგელი

თავი 9. შემეცნებითი, თემატური და საზოგადოებრივი აქტივობები

9.1. თემატური და საიუბილეო ღონისძიებები

ცენტრში აქტიურად აღინიშნა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავისადმი, ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღისადმი მიძღვნილი აქტივობები:

- სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა გამოფენები „ნახატები ბიბლიურ თემებზე“ და „კალიგრაფია ქართულ ხელოვნებაში“ (11 მაისი);

- არქიტექტურის ჯგუფის ბავშვების გამოფენა: „ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები და სტილები“, „ქართული ორნამენტები და მოზაიკის ნიმუშები ქართულ ხელოვნებაში“;
- სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა სოლო და პედაგოგთა საკლასო კონცერტები — სულ 11 კონცერტი;
- ანსამბლ „გოგალაის“ სოლო კონცერტი (11 მაისი).

ცენტრმა ასევე აღნიშნა 9 აპრილის ტრაგედიის 37-ე წლისთავი, ხელოვნების მსოფლიო დღე, დედამიწის დღე, დამოუკიდებლობის დღე და ბავშვთა დაცვის დღე (იხ. დანართები).

9.2. შემეცნებითი ტურები

მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებისა და კულტურული განათლების მიზნით მოეწყო ორი გასვლითი შემეცნებითი ტური:

- 13 თებერვალი — ბავშვთა კამერული ორკესტრის წევრები ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სპექტაკლზე „ქეთო და კოტე“;
- 5 ივნისი — სამხატვრო სკოლის მოსწავლეები „ჰოლოზეუმში“, ვან გოგის ციფრულ გამოფენაზე.

9.3. მასტერკლასები

თარიღი	ღონისძიება
21 იანვარი	პ. ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ციკლის „წელიწადის დროების“ პროექტის ფარგლებში მოსმენა-მასტერკლასი (ვალერიან შიუკაშვილი), თბილისი, მუსიკის აკადემია
18 მაისი	სენაკის XIII არტ-ფესტივალის ფარგლებში პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის მასტერკლასი სენაკის ხელოვნების ცენტრში
18 მაისი	სენაკის XIII არტ-ფესტივალის ფარგლებში საგუნდო დირიჟორ ქეთევან მანელიშვილის მასტერკლასი ხელოვნების ცენტრის ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდის ბავშვებისთვის

თავი 10. SWOT ანალიზი

SWOT ანალიზი ეფუძნება 2026 წლის 6 თვის შედეგებს და ასახავს ცენტრის შიდა რესურსებს (ძლიერი და სუსტი მხარეები) და გარე გარემოს (შესაძლებლობები და საფრთხეები). მისი შედეგები გათვალისწინებულია სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებში (თავი 11).

ანალიზიდან გამომდინარე ძირითადი მიმართულებებია:

- **ძლიერი მხარეების გამოყენება** (შედეგები, კვალიფიციური კადრები) ახალი მოდულებისა და პარტნიორობის განვითარებისთვის;
- **საკუთარი შემოსავლის ზრდა** არაფორმალური განათლებისა და მოკლევადიანი მოდულების ხარჯზე;
- **ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების ეტაპობრივი განახლება;**
- **კადრების გადამზადების გაძლიერება და ახალი პერსონალის მოზიდვა.**

თავი 11. სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის ანგარიშში დასახულ ძირითად ამოცანებს, სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები მიართულია ხელოვნების ცენტრის როგორც, სახელოვენებო საგანმნათლებლო დაწესებულების განვითარებისკენ.კერძოდ:

11.1. სახელოვნებო განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ამაღლება

სწავლების მაღალი აკადემიური სტანდარტის შენარჩუნება სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში; სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოება როგორც სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლების, ისე მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსწავლეებისთვის;

- **სწავლების ხარისხის ამაღლება:** (თანამედროვე და მრავალფეროვანი მოდულები, პედაგოგთა პროფესიული განვითარება, სწავლების შეფასება და უკუკავშირი);
- **ხელმისაწვდომობის გაზრდა**/ინკლუზია და საზოგადოებრივი ჩართულობა/:(ფინანსური ხელმისაწვდომობა, გეოგრაფიული და ციფრული წვდომა);
- **პარტნიორობა და ცნობადობის ამაღლება** (თანამშრომლობა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან, საინფორმაციო კამპანია).
- სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისთვის შეღავათებისა და თანადაფინანსების მოქმედი სისტემის გაუმჯობესებას.

11.2. ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერა და შემოქმედებითი ასპარეზი

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა დროული გამოვლენა და მათი ჩართვა ადგილობრივ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებსა თუ კონკურსებში;ახლად ჩამოყალიბებული ბავშვთა კამერული ორკესტრისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის შემდგომი პოპულარიზაცია და მხარდაჭერა.

- **შემოქმედებითი ასპარეზის შექმნა (პლატფორმები);**
- **სოციალური და პროფესიული ინტეგრაცია** (ქსელური კავშირები, ინტერდისციპლინური პროექტები, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები).

11.3. ინოვაციური პროექტებისა და სასწავლო მოდულების განვითარება

ხელოვნების ცენტრის ტრადიციულ დისციპლინების შეათავსება ტექნოლოგიების და ინტერდისციპლინური მიდგომებთან. ინოვაციური სასწავლო მოდულების მიმართულებები:

- **ციფრული და მედია ხელოვნება,** ინტერდისციპლინური ხელოვნება, კრეატიული ინდუსტრიები და მენეჯმენტი, კრეატიული ინდუსტრიები და მენეჯმენტი, ინკლუზიური და სოციალური ხელოვნება;
- **არაფორმალური განათლების პროექტების შემდგომი განვითარება:** მოკლევადიანი მოდულის „არტ-ნაბიჯი“, საზაფხულო სკოლის „არტ-ჰარმონია“, და ხელოვნების საკვირაო სკოლის არტ-პორტფოლიოს მოდელი;
- **ახლად მიმართულებების და სხვა დარგების სწავლების გაძლიერება** (ქართული კალიგრაფიული ხელოვნებისა და გობელენი, კერემიკა, ციფრული დიზაინი და ა.შ);

11.4. ინფრასტრუქტურის განახლება

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და საგანმანათლებლო რესურსების, ეტაპობრივი გაუმჯობესება, ინვენტარის შეძენა-განახლება.

- **საკონცერტო და საგამოფენო სივრცეები გაუმჯობესება** (განათება და ვიზუალური ეფექტები, ტექნიკური ბაზა, ენერგოეფექტურობა და კომფორტი);
- **ჰიგიენისა და სანიტარული ნორმების მოდერნიზაცია** (სველი წერტილების განახლება, სადეზინფექციო სივრცეები, ხარისხიანი ვენტილაციის სისტემები,);
- **შენობის უსაფრთხოების სტანდარტები** (სახანძრო უსაფრთხოება, სტრუქტურული და ევაკუაციური უსაფრთხოება,

11.5. საზოგადოებრივი და მშობელთა ჩართულობა

მშობელთა აქტიური მონაწილეობის შენარჩუნება სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროცესში; პოზიტიური აღზრდის ტრენინგები;

- ინფორმაციული ცნობიერება;
- თანამშრომლობითი გარემო;
- შემეცნებითი ტურების;
- თემატური გამოფენა-კონცერტები;;
- მასტერკლასები;

11.6. კადრების პროფესიული ზრდა

ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის პროფესიული გადამზადებისა და ტრენინგების პროცესის გაგრძელება.

- შიდა ტრენინგები და გამოცდილების გაზიარება;
- მოწვეული ექსპერტების მასტერკლასები;
- სტაჟირება და გაცვლითი პროგრამები;
- ონლაინ კურსები და სერტიფიცირება;

თავი 12. დასკვნა

2026 წლის 6 თვის განმავლობაში ხელოვნების ცენტრმა უზრუნველყო სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, საკვირაო სკოლის გამართული მუშაობა და მოემსახურა 498 მოსწავლეს. ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით ცენტრში შეიქმნა ბავშვთა კამერული ორკესტრი, განხორციელდა ახალი სასწავლო მოდული „არტ-ნაბიჯი“, საკვირაო სკოლაში დაინერგა არტ-პორტფოლიოს მოდელი, განახლდა სასწავლო ინვენტარი და მუსიკალური ინსტრუმენტები.

ფინანსურად 2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მიღებულია 386 361 ლარი (წლიური გეგმის 50,9%), გახარჯულია 383 342 ლარი, ნაშთმა შეადგინა 5 455 ლარი.

ჩვენი გრძელვადიანი მიზანია ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი გახდეს მრავაპროფილური სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს განათლებას ხელოვნების სხვადასხვა დარგში

დანართი №1. სამუსიკო სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები

თარიღი	ღონისძიება
24–28 თებერვალი	გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა საგამოცდო პროგრამების I მოსმენა
1 მარტიდან, ყოველ ოთხშაბათს	მოსწავლეთა II სემესტრის აკადემიური ჩათვლა-კონცერტები
7 მარტი	ვიქტორინა-კონცერტი სოლფეჯიოში სამუსიკო სკოლის I და II კლასელებისთვის
24–28 მარტი	გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა საგამოცდო პროგრამების II მოსმენა
28 მარტი	გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა II მოსმენა
14 აპრილი	შიდასასკოლო კონკურსი ფურცლიდან კითხვაში III–VI კლასების მოსწავლეებისთვის
25 აპრილი	გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა III მოსმენა
1–14 მაისი	ტესტირება მუსიკის თეორიულ დისციპლინებში I–VI კლასებში
9 მაისი	ვიქტორინა მუსიკის თეორიულ დისციპლინებში VI კლასელებისთვის
30 მაისი	გამოსაშვები საგამოცდო პროგრამების IV მოსმენა
6 ივნისი	კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები (I, II, III, IV, V, VI, VIII კლასები)
22 ივნისი	გამოსაშვები კლასების გამოცდები სოლფეჯიოში
23 ივნისი	მისაღები გამოცდების პირველი ეტაპი
24 ივნისი	გამოსაშვები გამოცდა მუსიკის ლიტერატურაში
26 ივნისი	გამოსაშვები V, VII და IX კლასების გამოცდები სპეციალობაში
29 ივნისი	პედსაბჭოს სხდომა სამუსიკო სკოლაში

დანართი №2. მოსწავლეთა სოლო და პედაგოგთა საკლასო კონცერტები

თარიღი	ღონისძიება
4 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგები: დალი შეროზია, ია გვასალია
11 ივნისი	საესტრადო (ვოკალი) განყოფილების პედაგოგი ლელა მიქაბაძე
14 ივნისი	საორკესტრო განყოფილების პედაგოგები: ნათია შურღულაია, შორენა ზვიადაძე, თენგიზ და რუსუდან გვენეტაძეები
17 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი ნინო კოღოშვილი
18 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგები: გალინა ლუკიანცევა, ელენა ხოშტარია
20 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგები: ქეთევან ფულარია, ინეზე მაშავა
22 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგები: მაია ჯალაღონია, ინგა გადელია
23 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი ციალა გვალია
25 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი ლუირა ქობალავა
27 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი მარინა ბერიშვილი
30 ივნისი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი რუსუდან მილიუტინი

დანართი №3. სამხატვრო სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები

თარიღი	ღონისძიება
14 იანვარი	სამხატვრო სკოლის პედაგოგიური საბჭოს I სხდომა
16 იანვარი	მოსწავლეთა საახალწლო ნახატების გამოფენა
5 მარტი	ეროვნული გმირების — ჟიული შარტავას, გურამ გაბესკირიას და გენო ადამიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი თემატური ნახატების გამოფენა (აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული ძეგლების ფოტოგამოფენა)
8 მარტი	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თემატური ნამუშევრების გამოფენა
30 მარტი	ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 82 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება — ლექსების კალიგრაფიული ნამუშევრების გამოფენა
8 აპრილი	9 აპრილის ტრაგედიიდან 37 წლისთავთან დაკავშირებით ფოტოგამოფენა
15 აპრილი	ხელოვნების მსოფლიო დღე — აბიტურიენტების ნამუშევრების გამოფენა და ლეონარდო და ვინჩის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა
16 აპრილი	აღდგომასთან დაკავშირებით ფოტოგამოფენა თემაზე „სააღდგომო მოტივები ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებაში“
11 მაისი	ქრისტიანობის 1700 წლისთავისადმი, ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღისადმი მიძღვნილი აქტივობები: გამოფენები „ნახატები ბიბლიურ თემებზე“ და „კალიგრაფია ქართულ ხელოვნებაში“
26 მაისი	დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა: ნაქსოვი ფარდაგების გამოფენა, ადგილზე ქსოვის მასტერკლასი, კალიგრაფიული ჯგუფის ნამუშევრების გამოფენა
1 ივნისი	ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სამხატვრო სკოლის მოსწავლის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
9–10 ივნისი	გამოსაშვები IV კლასის გამოცდა
17 ივნისი	„ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის დღე (სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ჩართულობა)

დანართი №4. კონკურსები, ფესტივალები და საკონცერტო აქტივობები

თარიღი	ღონისძიება
7 იანვარი	ტრადიციული საშობაო „ალილო“
21 იანვარი	პ. ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ციკლის „წელიწადის დროების“ პროექტის კონცერტი — თბილისი, ხელოვნების აკადემია
22–23 იანვარი	ვ. ა. მოცარტის სახელობის XI საერთაშორისო კონკურსი
31 იანვარი	„წელიწადის დროების“ პროექტის კონცერტი — ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა
10–11 თებერვალი	„წელიწადის დროების“ პროექტის კონცერტი — თბილისი, ხელოვნების აკადემია
25 თებერვალი	საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგ ლუირა ქობალავას მეოთხე კლასელების ლექცია-კონცერტი
27 თებერვალი	„წელიწადის დროების“ პროექტის კონცერტი — ზაქარია ფალიაშვილის სახელობის რუსთავის ხელოვნების სკოლა
9 მარტი	პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის პროექტის „ვალერიან შიუკაშვილი — თაობა“ ფარგლებში კონცერტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
26 მარტი	კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები-2026“, I ტური — ბათუმი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი
29 მარტი	ი. ს. ბახის VIII ეროვნული კონკურსის შესარჩევი ტური — წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის სამუსიკო სკოლა
31 მარტი	ი. ს. XI ბახის ეროვნული კონკურსის გალა-კონცერტი — წყალტუბო
4 აპრილი	ბავშვთა და მოზარდთა XVII რესპუბლიკური კლასიკური მუსიკის კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“, შესარჩევი ტური — ქუთაისი
4 აპრილი	ქართული მუსიკის IX ეროვნული კონკურსი — ზესტაფონი, ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა
8 აპრილი	9 აპრილის ტრაგედიიდან 37 წლისთავთან დაკავშირებით სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი
22 აპრილი	დედამიწის დღესთან დაკავშირებული მუნიციპალური აქტივობა — მუსიკალური ნომრებით ჩართულობა
25 აპრილი	„ჰარიდა“ გუნდის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების III კონკურს-ფესტივალი — ხობი
26 აპრილი	სამუსიკო სკოლის საორკესტრო (ვიოლინო) განყოფილების მოსწავლის, თამარ ვეფხვაძის სოლო კონცერტი
27 აპრილი	კლასიკური მუსიკის მე-19 ეროვნული კონკურს-ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავები-2026“ გალა-კონცერტი — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
30 აპრილი	ვაჟა დურგლიშვილის შემოქმედებითი საღამო
1 მაისი	ბენიამინო ჯილის სახელობის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი — თბილისი, მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“
2 მაისი	„იპოვე შენი ვარსკვლავი“ — გალა-კონცერტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
5–10 მაისი	ქართული სიმღერის III კონკურსი — ჭიათურა
15–24 მაისი	სენაკის XIII არტ-ფესტი
22 მაისი	არტ-ფესტის ფარგლებში „წელიწადის დროების“ პროექტის გამარჯვებული ახალგაზრდა პიანისტების კლასიკური მუსიკის კონცერტი

თარიღი	ღონისძიება
23 მაისი	არტ-ფესტის ფარგლებში ავსტრიელი პიანისტის, ლევ დავიდოვის საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი
26 მაისი	დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით
1 ივნისი	ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება, გამოფენა და კონცერტი
5 ივნისი	კონკურსი „ნახატები ბიბლიურ თემებზე“ — შესარჩევი, პირველი და მეორე ტური სამხატვრო სკოლის მოსწავლეებისთვის
5 ივნისი	კონკურსი „კალიგრაფია ბიბლიოთეკაში-2026“ — სამხატვრო სკოლის კალიგრაფიის ჯგუფის მოსწავლეებისთვის, ქუთაისის N18 საქალაქო ბიბლიოთეკა
5 ივნისი	კარლ ჩერნის სახელობის IV კონკურსის შესარჩევი ტური
6 ივნისი	კარლ ჩერნის სახელობის IV კონკურსის გალა-კონცერტი და გამარჯვებულთა დაჯილდოება
29 ივნისი	2026 სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება

დანართი №5. ხელოვნების საკვირაო სკოლა, ანსამბლი „გოგალაი“ და სხვა შემოქმედებითი პროექტები

ა) ხელოვნების საკვირაო სკოლა და მოდული „არტ-ნაბიჯი“

თარიღი	ღონისძიება
24 იანვარი	„მომავლის არქიტექტორების“ და ხატვის ჯგუფის მოსწავლეების ნამუშევრების შუალედური შეფასება და გამოფენა
10–14 მარტი	სასწავლო მოდული „არტ-ნაბიჯი“
11 მაისი	ქრისტიანობის 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი აქტივობები — არქიტექტურის ჯგუფის გამოფენა
26 მაისი	დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა — არქიტექტურის ჯგუფის ნამუშევრების გამოფენა

ბ) ანსამბლი „გოგალაი“

თარიღი	ღონისძიება
2 იანვარი	რუსთავი 2-ის ეთერი
27 იანვარი	„ზურას შოუს“ ჩაწერა
31 იანვარი	დილის გადაცემა „ჩვენი კუთხის მასპინძელი“
2 თებერვალი	მეგა შოუ „ქართული“ — ფრე ქასთინგი
27 თებერვალი	მეგა შოუ „ქართული“ — I ტური
26 აპრილი	თამარ ვეფხვაძის სოლო კონცერტში ჩართულობა
6–8 მაისი	ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის III ფესტივალი „ნანინა 2026“
11 მაისი	ქრისტიანობის 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი სოლო კონცერტი
18 მაისი	მუზეუმის საერთაშორისო დღე — ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
26 მაისი	დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტში ჩართულობა და ჰიმნის შესრულება

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი ანგარიშვალდებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წინაშე. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და სპეციალისტები ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის დირექტორის წინაშე.

სქემა1.ხელოვნების ცენტრის სტრუქტურა და ანგარიშვალდებულება

